პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოდის 1935-ე წელი | № 140 (10226) | ოთხშაბათი, 15 ივნისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო შვეიცარიის რიკსდაგის დელეგაციის წევრები (1-ლი გვერდი).

თბილისიდან გაემგზავრა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ (1-ლი გვერდი).

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ აშხაბადში (1-ლი გვერდი).

ტაშკენტს ჩავიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ (1-ლი გვერდი).

მისასალმებელი დეპეშები ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის დაბადების სამოცი წლისთავის გამო (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების თათბირის გამო (მე-2 გვერდი).

საკდესის განცხადება (მე-2 გვერდი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ პუბლიკის მინისტრთა საბჭოში (მე-3 გვერდი).

ვ. ფელიძე. — უოლტ უიტმენი (მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ დარბაზობა გამართეს შვეიცარიის რიკსდაგის დელეგაციის პატივსაცემად (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მეტი კარგი ხარისხის საქონელი მოსახლეობისათვის

ჩვენს ქვეყანაში მძიმე ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე განუწყვეტლივ იზრდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა, რომელიც ამას წინათ გაიმართა, ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს მოუწოდა უფრო სწრაფად დაეუფლონ მოწინავე საწარმოთა და წარმოების ნოვატორთა მუშაობის მეთოდებს, გაადიდონ მოწყობილობის ყოველ ერთეულზე პროდუქციის გამომუშავება, მომჭირნეობით გამოიყენონ ნედლეული, გაზარდონ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება, გაუმჯობესონ მისი ხარისხი და გააფართოონ ასორტიმენტი.

ბევრი ფაბრიკის კოლექტივები წარმატებით წყვეტენ ამ ამოცანებს. ამავე დროს არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჯერ კიდევ ცოტა როდია მსუბუქი მრეწველობის ისეთი საწარმოებიც, რომლებიც ვერ ასრულებენ დავალებებს და დიდძალ პროდუქციას აკლებენ ჩვენს ქვეყანას. მიმდინარე წლის განვლილი თვეების მანძილზე გეგმა ვერ შეასრულა სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს რამდენიმე ათეულმა საწარმომ. უზბეკეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკების სამკერვალო მრეწველობა ვერ ართმევს თავს ზოგიერთი სახეობის ტანსაცმლის გამოშვებას. სახელმწიფოს საგრძნობი რაოდენობით აკლებენ ფეხსაცმელსა და ტრიკოტაჟს ბელორუსიისა და ლიტვის სს რესპუბლიკების საწარმოები.

ამავე დროს მსუბუქი მრეწველობის მოწინავე კოლექტივთა და ნოვატორთა მუშაობის მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, თუ რა დიდი შესაძლებლობები აქვთ მოქმედ საწარმოებს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის. კერძოდ, მოწყობილობის მეტად მაღალ წარმადობას მიაღწიეს მოსკოვის კალინინის სახელობის ფაბრიკის მრთველის ამხ. კოტოვას და მონინოს კამვოლის კომბინატის ოსტატის თანაშემწის ამხ. კაპრალოვის ბრიგადებმა. ნარნაულის ბამბეულის კომბინატში თვითეულ დაზგაზე საათში უშვებენ 18,5 პროცენტით მეტ ქსოვილს, ვიდრე კალინინის ბამბეულის კომბინატ „პროლეტარკაში“.

საუკეთესო საწარმოთა და ნოვატორთა გამოცდილება ჯერ კიდევ სუსტად ვრცელდება მსუბუქ მრეწველობაში. ავიღოთ ივანოვოს ოლქი — საფეიქრო მრეწველობის უდიდესი ცენტრი. აქ დავიწყებულია წარმოების ბევრი ნოვატორის ძვირფასი თაოსნობა. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, კრასნოვოლუსკის კომბინატის ოსტატის თანაშემწის ამხ. შჩუკინის თაოსნობას, რომელიც იყო ინიციატორი შეჯიბრებისა მოწყობილობის დაპროექტებულ სიმძლავრეთა ათვისებისათვის.

ნელა ვრცელდება ინიციატივა გაერთიანებული ფაბრიკის წარჩინებული მქსოველის ამხ. დიაკონოვასი, რომელმაც ათობით მუშა ქალს შეასწავლა შრომის ყველაზე პროგრესული მეთოდები. ბევრი ფეიქრისათვის უცნობია აგრეთვე მუშაობის მაღალნაყოფიერი ხერხები, რომლებიც შემოიღეს გადამხვევმა ამხ. ტოლსტოხროვაიამ, მრთველმა ამხ. ლობანოვამ, ამღებმა ამხ. ზაიცევამ, მქსოველმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ამხ. სოლოდოვამ. ეს იმას მოწმობს, რომ ივანოვოს ოლქის ბამბეულის მრეწველობის მთავარი სამმართველო, რომელიც, ამასთან, თვით ქალაქ ივანოვოშია, და სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო ცუდად მუშაობენ მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის.

უზრუნველყონ, რომ საწარმოო გეგმას დაწესებული ასორტიმენტით თვიდან თვემდე, დეკადიდან დეკადამდე ასრულებდეს ყველა საწარმო, გაადიდონ არსებულ საწარმოო ფართობებზე, მოწყობილობის თვითეულ ერთეულზე პროდუქციის გამოშვება — აი მთავარი, რაც ახლა მოეთხოვებათ მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს. ამისათვის საჭიროა აღმოფხვრან წარმოების ორგანიზაციის ნაკლოვანებანი, გულმოდგინედ იმუშაონ მისი ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის, უფრო სწრაფად დაეუფლონ მოწინავე საწარმოთა და ნოვატორთა მუშაობის მეთოდებს.

ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვების გადიდების ერთ-ერთი დიდი რეზერვია ნედლეულის და მატერიალური რესურსების ყველაზე ნაყოფიერი და ეკონომიური გამოყენება. შეიძლება დავასახელოთ ბევრი საწარმო, სადაც მტკიცედ იბრძვიან ნედლეულის მომჭირნეობისათვის. მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკებმა „პარიზის კომუნამ“ და კარანოვის სახელობისამ დაზოგილი მასალით შარშან გეგმის გადამეტებით დაამზადეს 300 ათასამდე წყვილი სხვადასხვა ფეხსაცმელი.

მაგრამ არის ისეთი საწარმოებიც, სადაც ჯერ კიდევ უყაირათოდ ეპყრობიან ნედლეულსა და მასალას. მაგალითად, სატრიკოტაჟო მრეწველობაში ზეგეგმითი ნარჩენი შარშან 750 ტონას შეადგენდა. სატრიკოტაჟო ფაბრიკებში — კიევის როზა ლუქსემბურგის სახელობისა და ივანტეევკის ძერჟინსკის სახელობის ფაბრიკებში — ტილოს ნარჩენი თეთრეულის ნაწარმის გამოჭრისას 26 პროცენტს აღწევს, ფაბრიკა „მარაში“ (ლატვიის სსრ) — 30 პროცენტს.

საწარმოებს, რომლებიც ფართო მოხმარების საგნებს უშვებენ, უდავოდ აქვთ განსაზღვრული მიღწევანი პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ისიც, რომ მათი პროდუქცია ყოველთვის როდი აკმაყოფილებს მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნილებასა და გემოვნებას. მაღაზიებში შეიძლება ვნახოთ ცუდი გაფერადების ქსოვილები, მოძველებული ფასონით შეკერილი, გაბეგხულად არამიმზიდველი კაბები, კოსტიუმები, პალტოები, მკრქალი, ერთფეროვნად შეღებილი სატრიკოტაჟო ნაწარმი, უხეირო მოდელის, ცუდად გამოყვანილი ფეხსაცმელი. ნოვგოროდის ოლქის ოკულოვკის სამკერვალო ფაბრიკა „პარტიზანკის“ გამოშვებული კაბებისა და ბლუზების პარტიის გასინჯვისას იძულებული იყვნენ ნაწარმის 70-მდე პროცენტი შესაკეთებლად დაებრუნებინათ. ერევნის № 4 ფეხსაცმლის ფაბრიკის მიერ დამზადებული ქალის მოდელის უყელო ტუფლის მთელი შემოწმებული პარტია აგრეთვე დეფექტიანი აღმოჩნდა და გადასაკეთებლად დაუბრუნეს.

მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა უპირველესი ვალია საბჭოთა მომხმარებელს მისცენ გამძლე და ლამაზი ქსოვილები, კარგი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. წარმოების ყველა სტადიაზე უზრუნველყოფილ უნდა იქნას პროდუქციის ხარისხის მკაცრი შემოწმება. საჭიროა მკვეთრად გავაუმჯობესოთ საწარმოთა საკონტროლო აპარატის მუშაობა, მივაღწიოთ წუნის წარმომშობ მიზეზთა აღმოფხვრას, ყოველ მუშაკს ჩავუნერგოთ ფაბრიკის მარკის ღირსებისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ შესაძლებლობათა გამოყენებას ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისათვის. ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის ყველა საწარმოს კოლექტივებმა უფრო სრულად უნდა გამოავლინონ ნედლეულისა და მასალის რესურსები, გონივრულად, ყაირათიანად გამოიყენონ ისინი, გადაჭრით გააუმჯობესონ ნაწარმის ხარისხი.

მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა შორის ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედისა და 1955 წლის გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. საწარმოთა პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, მათი ღონისძიებანი წარმართონ იმისაკენ, რომ უკეთ გამოიყენონ ყველა საწარმოო რეზერვი, მნიშვნელოვნად გაადიდონ კარგი ხარისხისა და ლამაზი ქსოვილების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის და სახალხო მოხმარების სხვა საქონლის გამოშვება.

„პრავდის“ 14/VI მოწინავე

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. ი. გუბელმანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. მ. ი. გუბელმანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავის გამო და რევოლუციურ მოძრაობაში მისი აქტიური მონაწილეობის აღსანიშნავად, ამხ. მოსე ისრაელის-ძე **გუბელმანი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 13 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო შვეიცარიის რიკსდაგის დელეგაციის წევრები

13 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო შვეიცარიის რიკსდაგის დელეგაციის წევრები, რომლებიც სტუმრად არიან საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

მიესალმა რა შვეიცარიის პარლამენტის დეპუტატებს, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უახლოესი მეზობლის — შვეიცარიის ხალხის წარმომადგენლებს, კ. ე. ვოროშილოვმა თქვა:

— დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ხალხებს შორის არსებულ მეგობრულ კავშირს, ხელს შეუწყობს მშვიდობის შენარჩუნების საქმეს. დელეგაციების გაცვლას, ისევე როგორც სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის გაფართოებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მეგობრობის განვითარებისათვის.

უპასუხა რა კ. ე. ვოროშილოვის მისალმებას, დელეგაციის ხელმძღვანელმა შვეიცარიის რიკსდაგის მეორე პალატის თავმჯდომარემ გუსტავ ნილსონმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ დელეგატებს შესაძლებლობა მიეცათ შეხვედროდნენ კ. ე. ვოროშილოვს.

— თქვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს, — თქვა გუსტავ ნილსონმა, — ჩვენ ყველგან განსაკუთრებული გულითადობით გვხვდებოდნენ. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე აღმშენებლობითმა მუშაობამ, რომელიც გაჩაღებულია ყველგან თქვენს ქვეყანაში. როცა რიკსდაგმა მიიღო გადაწყვეტილება გამოეგზავნა სსრ კავშირში თავისი დელეგაცია, ეს გაკეთდა იმის შეგნებით, რომ დელეგაციის გამგზავრება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების დაახლოებას და განამტკიცებს ურთიერთ ნდობას საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიის ხალხებს შორის.

კ. ე. ვოროშილოვის თხოვნით დელეგატებმა გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილება საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ.

საუბრის დასასრულს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, კ. ე. ვოროშილოვმა დელეგაციის წევრებს უსურვა წარმატებანი მათს მოღვაწეობაში, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიის ურთიერთობის განმტკიცება.

დელეგაციას ახლდა შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში როლფ რ. სულმანი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, შვეიცარიაში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი ნ. მ. ლუნკოვი. (საკდესი).

თბილისიდან გაემგზავრა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ

14 ივნისს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ და მისი თანმხლები პირები თბილისიდან ტაშკენტს გაფრინდნენ.

ინდოეთის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მეჟავანაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა მ. პ. გიორგაძემ, ო. დ. გოცირიძემ, დ. ვ. მჭედლიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ი. კუჭავამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ვ. გ. ქერქაძემ, დ. გ. მამაცაშვილმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ მ. მ. ლელაშვილმა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ა. ლ. გუნიამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. ნ. ინაურმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ე. ა. სეხნიაშვილმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კ. მაღრაძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. ბ. ჯანელიძემ, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლებმა.

აეროდრომზე წარმოთქმულ სიტყვაში გ. დ. ჯავახიშვილმა, მიმართა რა ჯავაჰარლალ ნერუს, ბედნიერება და წარმატება უსურვა პრემიერ-მინისტრსა და ინდოელ ხალხს.

სიტყვაში ჯავაჰარლალ ნერუმ მადლობა გამოთქვა გულითადი მიღებისათვის.

— ვსარგებლობ შემთხვევით, — თქვა ბ-ნმა ნერუმ, — რათა გადმოგცეთ თქვენ და მზიური საქართველოს მთელ მოსახლეობას ჩემი საუკეთესო სურვილი. მე მუდამ მეხსომება ეს ვიზიტი.

ამავე დროს ტაშკენტს გაფრინდა ინდოელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს (საკდესის) მოწვევით. (საკდესი).

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ აშხაბადში

აშხაბადი, 14 ივნისი. (საკდესი). 14 ივნისს დილით თურქმენეთის სსრ დედაქალაქ აშხაბადში ჩამოვიდა თბილისიდან ტაშკენტს მიმავალი ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ.

აშხაბადის ათასობით მცხოვრები შეიკრიბა აეროპორტში, რომელიც მორთული იყო ინდოეთის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და თურქმენეთის სსრ სახელმწიფო ალმებით. ჯ. ნერუს შეხვდნენ თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ოვეზოვი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. ბაბაევი, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. სარიევი, თურქმენეთის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ჩარიევი, მინისტრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლნი.

ჯ. ნერუ და მისი თანმხლები პირები გამოდიან თვითმფრინავიდან, ორკესტრი ასრულებს ინდოეთის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და თურქმენეთის სსრ ჰიმნებს. ნორჩმა პიონერებმა სტუმრებს მიართვეს ყვავილების თაიგულები.

ჯ. ნერუს მიესალმა თურქმენეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ოვეზოვი. საპასუხო სიტყვაში ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ, მიმართა რა დამხვდურთა, მადლობა გადაუხადა გულითადი მიღებისათვის.

თურქმენეთის რესპუბლიკის მთავრობამ საუზმე გამართა აშხაბადში ჯ. ნერუს ყოფნის გამო.

აშხაბადის მშრომელთა სახელით ჯ. ნერუს მიართვეს საჩუქრები — თურქმენული ხალათი და ფაფახი.

11 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით ჯ. ნერუ და მისი თანმხლები პირები ტაშკენტს გაფრინდნენ.

ტაშკენტს ჩავიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ

ტაშკენტი, 14 ივნისი. (საკდესი). დღეს ტაშკენტს ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ. მასთან ერთად ჩამოვიდნენ მისი ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და სსრ კავშირში ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოს პირველი მდივანი ჰ. ნ. კაული.

პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში მ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

ტაშკენტის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ინდოეთის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და უზბეკეთის სსრ სახელმწიფო ალმებით, ჯ. ნერუსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. ნიაზოვი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, უზბეკეთის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ს. სულთანოვი, საზოგადოებრიობისა და პრესის მრავალი წარმომადგენელი.

შესრულებულ იქნა ინდოეთის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და უზბეკეთის სსრ ჰიმნები. ბავშვებმა ჯ. ნერუსა და ინდირა განდის მიართვეს ყვავილების თაიგულები.

საბჭოთა უზბეკეთის მთავრობისა და მშრომელთა სახელით ჯ. ნერუს გულითადად მიესალმა ნ. ა. მუხიტდინოვი. თავის საპასუხო სიტყვაში ჯ. ნერუმ მადლობა გამოთქვა გულთბილი შეხვედრისათვის და წარმატება უსურვა უზბეკ ხალხს უზბეკეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში.

გზაში, აეროდრომიდან აგარაკამდე, რომელიც გამოყოფილია ჯავაჰარლალ ნერუსათვის, სტუმრებს მხურვალედ მიესალმებოდნენ ტაშკენტის მცხოვრებნი.

დღეს აქ ჩამოვიდა აგრეთვე ინდოელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც სტუმრად არის საბჭოთა კავშირში საკდესის მოწვევით.

ინდოეთისადმი მიძღვნილი გამოფენები

ქიშინიოვი, 13 ივნისი. (საკდესი). კრუპსკაიას სახელობის რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა „სსრ კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობისათვის!“. გამოფენაზე წარმოდგენილია ინდოელი მწერლებისა და პუბლიცისტების წიგნები და ბროშურები, საბჭოთა და უცხოელი ისტორიკოსებისა და მეცნიერების შრომები, მიძღვნილი ინდოეთისადმი, საბჭოთა მწერლებისა და კულტურის მოღვაწეების საგზაო ჩანაწერები.

გამოფენები და წიგნის სტენდები ლიტერატურით ინდოეთის შესახებ ეწყობა მოლდავეთის დედაქალაქის სხვა ბიბლიოთეკებშიც.

* * *

ხაბაროვსკი, 13 ივნისი. (საკდესი). სამხარეო ბიბლიოთეკაში გაიხსნა წიგნის ახალი გამოფენა, მიძღვნილი ინდოეთისადმი. აქ ექსპონირებულია კ. მარქსის „ქრონოლოგიური ამონაწერები ინდოეთის ისტორიიდან“, ბევრი წიგნი ინდოეთის ბუნების, ისტორიის, მოსახლეობისა და ხელოვნების შესახებ.

გამოფენის მნიშვნელოვანი განყოფილება უკავია ინდოელი მწერლების წიგნებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოსულა რუსულ ენაზე.

წარმოდგენილია აგრეთვე ინდოეთში ნამყოფი საბჭოთა მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეების სტატიები და საგზაო ჩანაწერები.

პრაღის ეროვნული თეატრის პირველი სპექტაკლი მოსკოვში

მოსკოველები დიდი ინტერესით მოელოდნენ პრაღის ეროვნული თეატრის გასტროლებს. ამ ნიჭიერი კოლექტივის პირველმა სპექტაკლმა, რომელიც 12 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის სახალხო არტისტების კ. ს. სტანისლავსკისა და ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის შენობაში, მრავალი მაყურებელი მიიზიდა. აქ. მოვიდნენ კულტურის მუშაკები, მსახიობები, მწერლები, მეცნიერები, მხატვრები. სტუმრებს შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. ვოშაგლიკი და საელჩოს თანამშრომლები.

სპექტაკლის წინ შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

ჩეხოსლოვაკიის მსახიობებს მეესალმა მოსკოვის ხელოვნების ოსტატთა დელეგაცია — დ. კაბალევსკი, ლ. ბარატოვი, ი. მასლენიკოვა, კ. კონდრაშინი, ვ. ბოგატი და სხვები.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა პრაღის ეროვნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირჟი პაუერმა, რომელმაც მადლობა გადაიხადა მხურვალე და გულითადი შეხვედრისათვის.

პრაღის თეატრმა გუშინ მაყურებელს უჩვენა სმეტანას კლასიკური ეროვნული ოპერა „გაყიდული საპატარძლო“.

მთავარ როლებს ასრულებდნენ კლემენტ გოტვალდის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ვაცლავ ბედნარეი, მართა კრასოვა, ივო ჟიდეკი, ედუარდ გაკენი, დამსახურებული არტისტი ოლჯიხ კოვარჟი, მსახიობი დრაგომირა ტიკალოვა და სხვები.

ოპერას დირიჟორობდა დამსახურებული არტისტი ზდენეკ ხალაბალა. რეჟისორი — ვაცლავ კაშლიკი. მხატვარი — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იოსებ სვობოდა.

პრაღის ეროვნული თეატრის პირველმა სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. (საკდესი).

მიღება უმაღლეს სასწავლებლებში

უმაღლესი სასწავლებლები ამ დღეებში იწყებენ განცხადებათა მიღებას. სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროში საკდესის კორესპონდენტს განუცხადეს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესებში შეტანილია ზოგიერთი ცვლილება. კერძოდ, შეცვლილია ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ წამყვან უმაღლეს სასწავლებელში იმ ქალაშვილთა და ჭაბუკთა მიღების პირობები, რომლებმაც საშუალო სკოლა ვერცხლის მედლით დამთავრეს, და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა ფრიადოსნების მიღების პირობები. ახლა მათ შესასვლელი გამოცდა უნდა ჩააბარონ ერთ საგანში, რომელსაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ სასწავლებლის სპეციალური დისციპლინების შესწავლისათვის.

ვინც შედის გეოლოგიის, ენერგეტიკის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიის. სატრანსპორტო და სხვა ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში, გამოცდას აბარებს მათემატიკაში. ვინც შედის ფიზიკის, ბიოლოგიის, ბუნებისმეტყველების, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის, მედიცინის სპეციალობის უმაღლეს სასწავლებლებში, ჩააბარებს შესასვლელ გამოცდას ფიზიკაში, ხოლო ვინც ჰუმანიტარულ სპეციალობათა უმაღლეს სასწავლებლებში შედის — რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

შესასვლელი გამოცდები ტექნიკუმების მედალოსნებისა და ფრიადოსნებისათვის მოეწყობა 1-დან 5 აგვისტომდე. ოქროს მედლით დაჯილდოებულები უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხებიან 21-დან 31 ივლისამდე განცხადებათა მიღებისდაკვალად, ხოლო ვერცხლის მედალოსნები და ტექნიკუმების ფრიადოსნები — 5-დან 7 აგვისტომდე იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც შემოღებულია შესასვლელი გამოცდები, და 1-დან 5 აგვისტომდე დანარჩენ უმაღლეს სასწავლებლებში.

შესასვლელი გამოცდების ჩაბარების შემდეგ ჩარიცხვის უფლებით სარგებლობს, ვინც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო.

ვინც მედალოსნების კონკურსში ვერ გავა უფლება ეძლევა მიიღოს მონაწილეობა საერთო კონკურსში.

სხვა თანაბარი პირობების დროს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უპირატესი უფლება ენიჭება იმ პირებს, რომლებმაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სულ ცოტა ორი წელი იმუშავეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში, აგრეთვე ნამდვილი სამსახურის ვადის დამთავრების შემდეგ საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულ პირებს.

ქართველ კოლმეურნეთა დელეგაცია სხუმრად უკრაინელ კოლმეურნეებთან

ხერსონი, 13 ივნისი. (საკდესი). სამ დღეს რყო გენიჩესკის რაიონში დელეგაცია საქართველოს სსრ ზახარაძის რაიონის კოლმეურნეებისა, რომლებიც 15 წელიწადზე მეტია ეჯიბრებიან უკრაინელ კოლმეურნეებს. დელეგაციამ შეამოწმა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულების მსვლელობა.

მოსავლის აღების მომზადებისათვის შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობა „შლიახ ილიჩა“ და ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა.

მისასალმებელი დეპეშები ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის დაბადების სამოცი წლისთავის გამო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგო!

თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის გამო მხურვალე ამხანაგურ სალამს გიძღვნით და გულწრფელად გისურვებთ ყოველგვარ კეთილდღეობას. თქვენ, როგორც მრავალი წლის მოწინავე პარტიულ და სახელმწიფო მუშაკს, მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ საბჭოთა ხალხის გრანდიოზულ წარმატებათა მიღწევის საქმეში, საბჭოთა ხალხისა, რომელმაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით თავის ქვეყანაში ააშენა სოციალიზმი და შეუდგა კომუნიზმის მშენებლობას.

როგორც ხალხის თავდადებული შვილი და კომუნისტური პარტიის ერთგული წევრი, თქვენ დგახართ ძლევამოსილი და უძლეველი საბჭოთა კავშირისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, ხალხთა მეგობრული თანამშრომლობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია და მთელი ჩეხოსლოვაკიის ხალხი დიდი პატივისცემით ეკიდებიან თქვენს დაუცხრომელ შრომას და მთელ თქვენს მოღვაწეობას, რომლითაც თქვენ სამუდამოდ დატოვეთ წარუშლელი კვალი მთელი მსოფლიოს ყველა პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ადამიანის აზრსა და გულში. სულით და გულით გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო, ჯანმრთელობასა და სიმხნევეს, რათა თქვენი ცხოვრების კიდევ მრავალი წელი მოახმაროთ შრომას საბჭოთა ხალხისა და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს

მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგო ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინ!

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თქვენი დაბადების მე-60 წლისთავის გამო გერმანიის მუშათა კლასისა და ჩვენი ხალხის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების სახელით გულითად მოლოცვასა და ძმურ სალამს გითვლით.

გერმანიის მუშათა კლასი და ჩვენი ხალხის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები მოგვსალმებიან როგორც ლენინისა და სტალინის ერთგულ მოწაფეს და მებრძოლ თანამოსაგრეს, როგორც ერთგულ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აღზრდილსა და ბრძოლაში გამოწრთობილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს და როგორც სახელოვანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მშვიდობისმოყვარე საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ წარმომადგენელს.

ჩვენი ხალხის მშვიდობისმოყვარე ძალები თქვენი სახით პატივს სცემენ გმირ საბჭოთა ხალხს, რომელიც ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად ყოველ ღონისძიებას იღებს, რათა თავიდან აგვაშოროს ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ავანტიურისტული გეგმები და შექმნას კოლექტიური უშიშროების ქმედითი სისტემა ევროპაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

ძვირფასო ამხანაგო ნ. ა. ბულგანინ! ჩვენს მოლოცვას თქვენი დაბადების მე-60 წლისთავის გამო ჩვენ ვუკავშირებთ დიდ მადლობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი დახმარებისათვის, რასაც გვიწევთ ჩვენს მძიმე ბრძოლაში გერმანიის მშვიდობიანი და დემოკრატიული გაერთიანებისათვის და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის საფუძვლების შექმნაში.

თქვენი დაბადების დღეს გისურვებთ ჯანმრთელობას, შემოქმედებითს ძალებს და მრავალ წელს სიცოცხლეს, რათა შეასრულოთ თქვენი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დიდი პასუხსაგები ამოცანა საბჭოთა ხალხისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის საკეთილდღეოდ.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ვ. ულბრიხტი

ბერლინი, 1955 წ. 11 ივნისი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

ძვირფასო ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძევ, თქვენი დაბადების მე-60 წლისთავის გამო გთხოვთ მიიღოთ ჩემი უაღრესად გულწრფელი სალამი და მოლოცვა. ჩეხოსლოვაკიის ხალხი, რომელიც საბჭოთა კავშირს უმადლის თავის დამოუკიდებლობასა და თავისთავადობას, დიდ პატივს გცემთ, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწინავე მოღვაწეს, ვისაც ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ხალხების ურყევი და სამარადისო მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეშიც.

მთელ ჩვენს მშრომელ ხალხთან ერთად სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძევ, ჯანმრთელობასა და დიდ შემოქმედებითს ძალას, რათა კიდევ მრავალ წელს შეგეძლოთ წარმატებით განაგრძოთ თქვენი პასუხსაგები მუშაობა საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრული თანამშრომლობის სასარგებლოდ.

ვილიან შიროკი

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

პრაღა, 1955 წლის 10 ივნისი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა
პრემიერ-მინისტრი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს

მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგო ბულგანინ!

თქვენი დაბადების მე-60 წლისთავის გამო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით და ჩემი სახელით გულითად სალამსა და საუკეთესო სურვილებს გიძღვნით.

თქვენი ქმედითი ხელმძღვანელობით საბჭოთა მთავრობა გადამწყვეტ და დაუცხრომელ ბრძოლას ეწევა მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის, რომელიც ხელსაყრელ წანამძღვრებს შექმნიდა გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

აღნიშნავენ რა დღეს თქვენი დაბადების მე-60 წლისთავს, მილიონობით გერმანელი პატრიოტები განსაკუთრებული კმაყოფილებით იგონებენ ძმურ დახმარებას, რაც საბჭოთა კავშირმა გერმანელ ხალხს გაუწია უკეთესი ცხოვრების მშვიდობიანი მშენებლობის საქმეში და მისი საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი ეროვნული საკითხების გადაჭრაში.

ევროპის ქვეყნების ვარშავის კონფერენციაზე თქვენ განაცხადეთ:

„ჩვენ ვიყავით და ვართ ერთიანი გერმანიის როგორც თავისუფალი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენის მომხრენი“.

ამ განსაზღვრაში მილიონობით გერმანელი პატრიოტი იძენს ახალ ძალას დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აოორძინების წინააღმდეგ და ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის საბრძოლველად. გწამდეთ, რომ მთელი გერმანიის პატრიოტული ძალები უაღრესად ენერგიულად აწარმოებენ ამ ბრძოლას დიდი მძლავრი საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ძალების მხარდამხარ.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგო ბულგანინ, მრავალ წელს ჯანმრთელობას, დაუშრეტელ შემოქმედებითს ძალებს მუშაობაში, რომელიც ემსახურება საბჭოთა ხალხებისა და მსოფლიოს მშვიდობის, აყვავებისა და ბედნიერების საქმეს.

გულწრფელი მეგობრული სურვილებით

ო. გროტევოლი

ბერლინი, 1955 წ. 11 ივნისი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს

პატივცემულო ამხანაგო თავმჯდომარევ, თქვენი დაბადების მე-60 წლისთავის გამო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით და პირადად ჩემი სახელით გულითადად მოგილოცავთ თქვენ, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს და კომუნიზმის გამარჯვებისათვის შეუდრეკელ მებრძოლს.

გისურვებთ საუკეთესო წარმატებებს კეთილშობილურ მუშაობაში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე

კიმ ირ სენი

1955 წლის 10 ივნისი.
ფხენიანი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

თქვენი დაბადების მე-60 წლისთავის დღის გამო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, ვიეტნამელი ხალხის სახელით და პირადად ჩემი სახელით გულითადად და მხურვალედ მოგილოცავთ. ვიეტნამელ ხალხს, რომელიც უსაზღვროდ აღფრთოვანებულია საბჭოთა კავშირის მიერ კომუნიზმის მშენებლობაში მიღწეული წარმატებებით, დიდად სწამს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს.

ხო. ში მინი,

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ხანოი, 1955 წლის 8 ივნისი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის გამო ნება მიბოძეთ, ამხანაგო პრემიერ-მინისტრო, ალბანელი ხალხის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით და პირადად ჩემი სახელით უაღრესად გულწრფელად მოგილოცოთ და გისურვოთ მრავალ წელს სიცოცხლე და სრული ჯანმრთელობა მოძმე საბჭოთა ხალხის სამსახურის საქმისათვის, სულ უფრო მეტი წარმატება ვუსურვო საბჭოთა კავშირს კომუნიზმის მშენებლობაში და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

მეჰმეთ შეხუ

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ტირანა, 1955 წ. 10 ივნისი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მის აღმატებულებას გატონ ნ. ა. ბულგანინს

მოსკოვი

თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის დღეს მიიღეთ, ბატონო თავმჯდომარევ, ფინეთის მთავრობისა და პირადად ჩემი გულითადი მოლოცვა და სურვილები ჯანმრთელობისა და წარმატებებისა თქვენს მოღვაწეობაში დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა საკეთილდღეოდ.

ურხო კეკონენი,

ფინეთის პრემიერ-მინისტრი

ჰელსინკი, 1955 წ. 11 ივნისი.

სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავროგათა მეთაურების თათბირის გამო

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბჭოთა მთავრობამ 26 მაისს საფრანგეთის მთავრობას გაუგზავნა ნოტა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის საკითხზე. საბჭოთა მთავრობის შესაბამისი ნოტები გაეგზავნათ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს.

6 ივნისს მიღებულ იქნა საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საპასუხო ნოტები. ქვემოთ მოგვყავს საფრანგეთის მთავრობის ნოტის ტექსტი:

„საფრანგეთის საელჩო თავის პატივისცემას უდასტურებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და პატივი აქვს განუცხადოს მას შემდეგი.

საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს და შეერთებული შტატების მთავრობები იმოწმებენ თავიანთ 1955 წლის 10 მაისის ნოტებს, რომლებიც გაეგზავნა საბჭოთა მთავრობას და რომლებიც შეიცავდა წინადადებას, რომ უახლოეს ხანში მოხდეს მთავრობათა ოთხი მეთაურის შეხვედრა. ისინი აცხადებენ, რომ საგარეო საქმეთა ოთხი მინისტრი ვენაში 14 და 15 მაისს არაოფიციალური. მოლაპარაკების დროს შეთანხმდა, რომ ასეთი შეხვედრა სასურველია, და კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ეს აზრი დადასტურებულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს 26 მაისის ნოტაში.

რაც შეეხება მთავრობათა მეთაურების შეხვედრის ადგილს, შეიძლება გავიხსენოთ, რომ სამი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრები ვენაში ასახელებდნენ ლოზანას, მაშინ როცა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი მოითხოვდა ვენას, — ამასთან ეს წინადადება დაადასტურა საბჭოთა მთავრობამ თავის 26 მაისის ნოტაში. გაითვალისწინეს რა შეხვედრის ადგილის შესახებ აზრთა ეს სხვადასხვაობა, საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს და შეერთებული შტატების მთავრობები ახლა წინადადებას იძლევიან, რომ მთავრობათა ოთხი მეთაური ერთმანეთს შეხვდეს ჟენევაში — ქალაქში, რომელსაც ჩინებული მატერიალური შესაძლებლობანი აქვს ასეთი მნიშვნელობის თათბირისათვის. ამრიგად, სამი მთავრობის წინადადებაა, რომ მთავრობათა ოთხი მეთაური ერთმანეთს შეხვდეს ჟენევაში 18-დან 21 ივლისამდე ჩათვლით.

ისინი მოხარული იქნებიან მიიღონ პასუხი რაც შეიძლება მალე, რათა ჰქონდეთ იმის შესაძლებლობა, რომ შეუთანხმდნენ შვეიცარიის მთავრობას, რომელმაც აუწყა სამ მთავრობას, რომ იგი თანახმაა აღნიშნულ ვადაში მოეწყოს თათბირი ჟენევაში.

მოსკოვი, 1955 წლის 6 ივნისი“.

13 ივნისს საბჭოთა მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომლის ტექსტიც ქვემოთ ქვეყნდება:

„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის პატივისცემას უდასტურებს საფრანგეთის საელჩოს და პატივი აქვს საელჩოს 6 ივნისის ნოტასთან დაკავშირებით განაცხადოს შემდეგი:

საბჭოთა მთავრობამ თავის 26 მაისის ნოტაში საფრანგეთის მთავრობის 10 მაისის ნოტის პასუხად უკვე გამოთქვა თავისი დადებითი დამოკიდებულება საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევისადმი, მხედველობაში ჰქონდა რა, რომ აღნიშნული თათბირის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და სახელმწიფოთა ურთიერთობაში ურთიერთნდობის განმტკიცება.

საბჭოთა მთავრობა თანახმაა, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირი გაიხსნას 18 ივლისს ჟენევაში. საბჭოთა მთავრობას ამასთან არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ საფრანგეთის მთავრობის 6 ივნისის ნოტაში გამოთქმულია ზრუნვა იმისათვის, რომ თათბირი გაგრძელდეს სამ-ოთხ დღეს და ამასთანავე გვერდი აქვს ავლილი საბჭოთა კავშირის 26 მაისის ნოტაში დასმულ დიდმნიშვნელოვან საკითხს აღნიშნული თათბირის ამოცანების შესახებ. თანამედროვე ვითარებაში თათბირის მონაწილე ოთხივე სახელმწიფოს მთავრობათა ღონისძიებების მიზანი უწინარეს ყოვლისა ის უნდა იყოს, რომ უზრუნველყოფილ იქნას თათბირის ძირითადი ამოცანის — საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ამოცანის შესრულება.

საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით იღებს ცნობად, რომ შვეიცარიის მთავრობა დათანხმდა მოეწყოს ჟენევაში აღნიშნული თათბირი.

ანალოგიური ნოტები ეგზავნებათ აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს.

მოსკოვი, 1955 წლის 13 ივნისი“.

საკლესიო განცხადება

ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბ-ნმა დალესმა პრესის წარმომადგენლებს გაუკეთა განცხადება სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების მომავალი თათბირის შესახებ. ეს განცხადება შეიცავს მტკიცებას, თითქოს თათბირის წარმატება დამოკიდებული იქნება პირველ რიგში იმაზე, მზად არის თუ არა საბჭოთა კავშირი გამოიჩინოს „ახალი კონსტრუქციული სულისკვეთება“ საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებაში. ამასთან ბ-ნი დალესი შეეცადა საეჭვოდ გაეხადა საბჭოთა მთავრობის განზრახვათა სერიოზულობა ამ თათბირთან დაკავშირებით. ბ-ნ დალესის განცხადებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მხედველობაში აქვთ თათბირის განსახილველად დასვან ისეთი საკითხები, როგორიც არის „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრობლემა“ და „საერთაშორისო კომუნიზმის საქმიანობის საკითხი“.

ამასთან დაკავშირებით ავტორიტეტულ საბჭოთა წრეებში შემდეგი განაცხადეს.

ბ-ნ დალესის განცხადება არის იმავე ხაზის განგრძობა, რომელიც წინათაც ხორციელდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელ მოღვაწეთა გამოსვლებში და რომლის უსაფუძვლობა უკვე ცხადყო საბჭოთა მთავრობამ თავის 1955 წლის 26 მაისის ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი. როცა ბ-ნი დალესი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი სხვა სახელმწიფო მოღვაწე მთავრობათა მეთაურების მომავალ თათბირს უდგებიან ყბადაღებული „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის თვალსაზრისით და ცდილობენ საქმე ისე დაგვიხატონ, თითქოს თათბირის წარმატება პირველ რიგში დამოკიდებულია საბჭოთა კავშირის პოზიციაზე, ამით ისინი ცხადყოფენ, რომ საქმე მიჰყავთ არა იქითკენ, რომ გააადვილონ თათბირის მუშაობა, არამედ იქითკენ, რომ გაართულონ ვითარება თათბირის წინ და სიძნელეები შეუქმნან მის მუშაობას. ამავე დროს კი ყოველი საერთაშორისო თათბირის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, მზად არის თუ არა ყველა მისი მონაწილე ხელი შეუწყოს გადაუჭრელი პრობლემების მოწესრიგებას და ჯეროვნად გაითვალისწინოს მოლაპარაკების ყველა მონაწილის ინტერესები. უაზროა იმის პრეტენზიები, რომ ერთერთ მხარეს დაუთქვან რაიმე პირობა მოლაპარაკებისათვის. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა დავიწყოთ, რომ ასეთ მეთოდებს საბჭოთა კავშირის მიმართ, ისევე, როგორც წინათ, არ შეიძლება წარმატება ექნეს.

მსჯელობას იმაზე, რომ თათბირმა გაანიხილოს ისეთი საკითხები, როგორიც არის „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრობლემა“ ან საკითხი „საერთაშორისო კომუნიზმის საქმიანობის შესახებ“, აგრეთვე საერთო არაფერი აქვს იმ სურვილთან, რომ მიღწეულ იქნას დადებითი შედეგები თათბირზე. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არ არსებობს არავითარი „პრობლემა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა“, რადგან ამ ქვეყნების ხალხებმა, დაამხეს რა ექსპლოატატორთა ბატონობა, თავიანთ ქვეყნებში დაამყარეს სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლება და არ შეურიგდებიან მათს საშინაო საქმეებში ვინმე ჩარევას.

რაც შეეხება საკითხს „საერთაშორისო კომუნიზმის საქმიანობის შესახებ“, ნება გვაქვს ვიკითხოთ, როგორ მოეკიდებოდა ბ-ნი დალესი იმას, რომ ოთხი სახელმწიფოს თათბირზე დასმულიყო, მაგალითად, საკითხი „საერთაშორისო კაპიტალიზმის საქმიანობის შესახებ“?.

განა ცხადი არ არის, რომ ბ-ნ დალესის მთელი ეს მსჯელობა სხვა არა არის რა, თუ არა ცდა, რომ საზოგადოებრივი წრეების ყურადღება ჩამოაშოროს საერთაშორისო ცხოვრების ნამდვილად აქტუალურ საკითხებს, ისეთებს, როგორიც არის სახელმწიფოთა შეიარაღების შემცირება და ატომური იარაღის აკრძალვა, ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა, აზიისა და შორეული აღმოსავლეთის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და სხვ.

საბჭოთა კავშირის ახალმა ნაბიჯებმა, რომელიც მან გადადგა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიზნით, დიდი გავლენა მოახდინეს საერთაშორისო ვითარებაზე. ასეთი ნაბიჯებია: სახელმწიფო ხელშეკრულების დადება ავსტრიასთან, სსრ კავშირის მთავრობის წინადადება შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე, საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება, რომელმაც გამოიწვია სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის ნორმალიზაცია და გაუმჯობესება, წინადადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის დამყარდეს დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა, იაპონიასთან დაწყებული მოლაპარაკება და სხვ. ყოველივე ეს საბჭოთა კავშირის დიდი წვლილია სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობის განმტკიცების საქმეში, მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

თუ ამ პირობებში ამერიკის ხელმძღვანელ მოღვაწეებს მიაჩნიათ, რომ მათთვის შესაფერისია ხაზგასმით აღნიშნონ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მხედველობაში არა აქვთ მთავრობათა მეთაურების თათბირზე მივიდნენ რაიმე კონსტრუქციული წინადადებებით, რომელთა მიზანი იქნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, არამედ მოელიან რაღაც „დათმობებს“ საბჭოთა კავშირის მხრივ, ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ყველას როდი მოსწონს საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა შედეგად დაწყებული შენელება საერთაშორისო ვითარების დაძაბულობისა. პირიქით, ზოგ ვინმეს სურს შეინარჩუნოს ეს დაძაბულობა, ყველავე გააძლიეროს გამალებული შეიარაღება, რაც მძიმე ტვირთად აწვება ხალხებს.

როგორც საბჭოთა მთავრობას უკვე არაერთგზის განუცხადებია, მას ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის ამოცანად მიაჩნია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცება. თათბირზე დადებითი შედეგების მიღწევა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამის სურვილს გამოიჩენს ყველა დაინტერესებული სახელმწიფო არა სიტყვით, არამედ საქმით.

ნიშანდებული ატომები მეტალურგიაში

დნეპროპეტროვსკი. (საკადესი). უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში ნიშანდებულ ატომებს იყენებენ თუჯის, ფოლადის დნობის რთული ტექნოლოგიური პროცესების, ნაგლინის წარმოების გამოსაკვლევად, აგრეგატების მდგომარეობის და პროდუქციის ხარისხის საკონტროლოდ.

ძერჟინსკის სახელობის, ვოროშილოვის სახელობის ქარხნებში რადიაქტიური იზოტოპების საშუალებით თვალყურს ადევნებენ ბრძმედების ლორფინის ცეცხლგამძლე წყობას. ლორფინის ამონაგის გარკვეულ მწკრივებს შორის ჩადებულია რადიაქტიურელემენტებიანი ამპულები. ბრძმედის ექსპლოატაციის პროცესში აგრეგატის ქვედა ნაწილი ინგრევა, და მდუღარე თუჯის ლავა შედის იმ ადგილებში, სადაც განლაგებულია იზოტოპები. გამდნარი ამპულიდან რადიაქტიური ნაწილაკები შედის ლითონში. მებრძმედეები, რომლებიც სწავლობენ რადიაქტირიზოტოპიანი თუჯის სინჯებს, ადვილად არკვევენ, თუ ცეცხლგამძლე წყობის რომელი მწკრივი დაინგრა. კონტროლის ეს ეფექტიანი მეთოდი საშუალებას აძლევს მეტალურგებს თავიდან აიცილონ ბრძმედების ავარია და მოშლა, გააუმჯობესონ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება.

„ზაპოროჟსტალის“, კარლ ლიბკნეხტის სახელობის, „აზოვსტალის“ ქარხნებში იზოტოპებს იყენებენ იმის გამოსარკვევად, თუ მარტენული დნობის პროცესში როგორ გადადის გოგირდი ლითონში გაზისებრი ან თხევადი სათბობიდან. ამ გამოკვლევებმა ხელი შეუწყო ფოლადმდნობელებს გაეუმჯობესებინათ ფოლადის დნობის ტექნოლოგია, გამოენახათ ლითონის მავნე მინარევთა წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები.

ნიშანდებულ რადიაქტიურ ელემენტებს იყენებენ ზოდების კრისტალიზაციის პროცესთა შესწავლისას ბოყვებში ლითონის გაცივების დროს. ამან ხელი შეუწყო იმას, რომ შეემუშავებინათ ფოლადის დასხმის უფრო სრულყოფილი მეთოდები.

ქარხანა „აზოვსტალის“ მარტენას საამქროში იღებენ ფოსფორით მდიდარ წიდებს, რომლებსაც იყენებენ მინერალური სასუქების წარმოებისათვის. მაგრამ წიდების ქიმიური ანალიზის იმ მეთოდები, რომლებსაც ახლა იყენებენ, დიდი დრო სჭირდება. მეტალურგებს უშველა ნიშანდებულმა ატომებმა. მეფოლადეები იყენებენ ფოსფორის რადიაქტიურ იზოტოპს, რომელიც სპეციალურად შეჰყავთ თხევად თუჯში, სანამ მას მარტენის ღუმელებში ჩაასხამდნენ, და სწრაფად და ზუსტად არკვევენ, რამდენი ფოსფორქვეყანგია წიდაში.

ქარხანა „ზაპოროჟსტალის“ ცივადნაგლინი ფოლადის ფურცლის საამქროში დგას აპარატურა, რომლითაც იზომება საფურცლე ზოლის სისქე გლინებში ზოდების მოტკეცის დროს. ამ ხელსაწყოს ამუშავებს რადიაქტიური იზოტოპის — კობალტის გამოსხივება. დგანის ოპერატორებს ახლა შესაძლებლობა აქვთ უზრუნველყონ ნამზადის თანაბარი გაგლინვა, გამოუშვან უფრო მაღალი ხარისხის პროდუქცია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

1955 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ნაწვერალზე სიმინდის თესვის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობები სრულიად არაკმაყოფილებლად იყენებენ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების შემდეგ ნაწვერალზე სიმინდის თესვის გზით მარცვლეულის დამატებითი მოსავლის მიღების არსებულ შესაძლებლობებს.

მხოლოდ ლაგოდეხის, ყვარლის, სიღნაღის, მარნეულისა და ზოგიერთი სხვა რაიონის ცალკეული კოლმეურნეობები მცირე ფართობებზე თესავენ სიმინდს ნაწვერალზე, მაგრამ ნათესების ცუდად მოვლის გამო უმნიშვნელო მოსავალს იღებენ.

ამავე დროს რესპუბლიკის ბევრ რაიონში, იმის მეოხებით, რომ დიდია ფართობები, რომლებზეც ადრე იღებენ თავთავიანი კულტურების მოსავალს, სარწყავ მიწებზე, მტს-ების მძლავრი ტექნიკის სწორად გამოყენებით, ყველა შესაძლებლობაა ვაწარმოოთ სიმინდის თესვა ნაწვერალზე და მივიღოთ მარცვლისა და მწვანე მასის დამატებითი მოსავალი.

მიუხედავად ამისა, ბევრი რაიონის, მტს-ისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს დღემდე ხელი არ აუღიათ ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების შეუფასებლობის მავნე პრაქტიკაზე და არ იყენებენ მარცვლეულის და მეცხოველეობისათვის საჭირო წვნიანი საკვების წარმოების გადიდების უდიდეს რეზერვებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ნაწვერალზე სიმინდის თესვის გაფართოება წარმოადგენს მარცვლეულის და მეცხოველეობისათვის საჭირო წვნიანი საკვების წარმოების გადიდების უმნიშვნელოვანეს რეზერვს — მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ერთ-ერთ პირობას.

მარცვლისა და მწვანე მასის დამატებითი მოსავლის მიღების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების მიზნით და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, მტს-ებსა და კოლმეურნეობებს დაავალეს 1955 წელს კოლმეურნეობებში ნაწვერალზე ნათესი სიმინდის ფართობი აიყვანონ 40 ათას ჰექტარამდე.

ამ მიზნით ყველა კოლმეურნეობაში, სადაც არსებობს ნაწვერალზე სიმინდის თესვის შესაძლებლობა, მთელი ფართობი, რომელიც თავისუფლდება თავთავიანი და სხვა ადრე ასაღები კულტურებისაგან, გამოყენებულ უნდა იქნას სიმინდის დასათესად.

ნაწვერალზე დასათესი სიმინდისათვის ნიადაგის დამუშავება უნდა მოხდეს მაშინვე, როგორც კი აღებულ იქნება წინამორბედი კულტურები, სიღრმით 18-20 სანტიმეტრამდე, არ უნდა მოხდეს მოსავლის აღებისა და შემდგომი სამუშაოების დაშორიშორება.

ნაწვერალზე უნდა დაითესოს სიმინდის კონდიციური თესლი კვადრატულ-ბუდობრივი წესით, გამოთესვის ნორმა უნდა გაიზარდოს 25-30 პროცენტით საგაზაფხულო თესვის დროს არსებულ ნორმებთან შედარებით.

ნაწვერალზე დათესილი სიმინდის, ისევე როგორც საგაზაფხულო ნათესი სიმინდის მოვლისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მცენარეთა აღმოცენების შემდეგ დროულად დაფარცხვას, მორწყვას, მწკრივთა შორის ნიადაგის გაფხვიერებას ისე, რომ არ გაჩნდეს ქერქი, სარეველა ბალახების მოსპობას, სიმინდის გამოხშირვას, აგრეთვე ნათესების სასუქით გაპატიებას.

რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სტადიაში სიმინდის ტაროს და ღეროების აღება უნდა მოხდეს ცალცალკე. ამასთან ტაროები უნდა დასილოსდეს ცალკე და გამოყენებულ იქნას საფურაქე მარცვლეულად ძროხების საკვებად, ღორების გასასუქებლად, აგრეთვე ფრინველისათვის.

კოლმეურნეობებში პერიოდულად განხილულ უნდა იქნას ნაწვერალზე დათესილი სიმინდის დამუშავების მიმდინარეობა, მიღებულ იქნას გადამწყვეტი ზომები სიმინდის ნათესების მაღალხარისხოვანი მოვლის უზრუნველსაყოფად და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა ერთი დეკადის განმავლობაში მასობრივი ტირაჟით გამოსცეს ნაწვერალზე ნათესი სიმინდის მოყვანის აგროტექნიკური წესები.

რესპუბლიკური და რაიონული გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რადიოინფორმაციის კომიტეტს, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ რესპუბლიკურ საზოგადოებას ევალებათ გააჩაღონ ფართო პროპაგანდა ამ დონისძიებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გასულ წელს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის 1955 წლის სრულიად-საკავშირო სახოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვა. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა ჩაისაგან 11 მილიონ მანეთს მიაღწია. კოლმეურნეობაში ჩაის კრეფა ორგანიზებულად მიმდინარეობს. აქ ყოველდღიურად ფაბრიკას აბარებენ 20-25 ტონა ნედლეულს. სურათზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ხარჩილავა (მარჯვნივ) მოწინავე ბრიგადირ ა. ვეკუასთან ერთად ამოწმებს მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხს.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

★

გავაძლიეროთ ჩაის კრეფის ტემპი

ზუგდიდის რაიონმა წელს ქვეყანას უნდა მისცეს 13.565 ტონა ჩაის ფოთოლი. მიუხედავად ამ პასუხსაგები ამოცანისა, ჩაის კრეფის ტემპი მაისში დაბალი იყო, ზუგდიდელებმა სახელმწიფოს დააკლეს 420,1 ტონა ნედლეული.

მართალია, ივნისში რაიონმა დაიჩქარა ჩაის ფოთლის კრეფა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია შრომის მოუწესრიგებლობა. ყველგან ვერ უზრუნველყვეს ნაუწყვეტელი კრეფა. სოფელ ჭკადუაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. ნაჭყებია, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ანთია) შარშან ცუდად იმუშავა, სახელმწიფოს დააკლო 36 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. ამ მდგომარეობიდან სათანადო დასკვნა წელსაც არ გაუკეთებიათ.

კოლმეურნეობაში 217 ჰექტარი პლანტაცია აქვთ. მათ შორის 187 ჰექტარი სრულმოსავლიანია. კოლმეურნეები პლანტაციას კარგად უნდა უვლიდნენ, მაგრამ ეს ასე რომ-დია. სისტემატურად ირღვევა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკური ვადები. პლანტაციები მოუვლელია, დროულად არ შეაქვთ მინერალური და ორგანული სასუქები. გაჩენილიყო გამოხნა-კულტივაცია, არ უფიქრიათ ახალი სადრენაჟო არხების გაყვანასა და არსებული სადრენაჟო არხების რემონტზე.

ჩაის გადაბარვის სამუშაოთა შესრულებაში უდარდელობა გამოიჩინეს: ყოველივე ამან ჩაის პლანტაციების დასარეკლიანება და დაავადება გამოიწვია.

კოლმეურნეობა ჩამორჩა ჩაის ფოთლის კრეფაში. აქ აპრილ-მაისში 100 ტონა ფოთოლი უნდა მოეკრიფათ, ფაქტიურად ეს დავალება მხოლოდ 63,8 პროცენტით შესრულეს. ივნისშიც ნელი ტემპით მუშაობენ.

რა არის ჩამორჩენის მიზეზი? კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია შრომის დისციპლინა. ჩაის კრეფაზე კოლმეურნეთა ერთი ნაწილი არ გამოდის. სოფელში არ არის საბავშვო ბაგა, ამიტომ ბავშვიანი ქალები ჩაის კრეფაში არ მონაწილეობენ.

აღსანიშნავია, რომ 31 კოლმეურნე, რომელთა უმეტესობა ახალგაზრდობაა, ტაურობის საკოლმეურნეო შრომას, უნებართვოდ არის წასული კოლმეურნეობიდან. ეს იციან რაიონის ხელმძღვანელმა ორგანიზებმა; მაგრამ ზომების მიღებას არ ფიქრობენ.

კოლმეურნეობაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა შეხამებული არ არის სამეურნეო საქმიანობასთან. არ იგრძნობა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მაორგანიზებელი და ავანგარდული როლი. მთელი რიგ ბრიგადებში ჩაწოლილია საagიტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორები ც. ჭითანავა, ფ. სამუშია, ა. ჭითანავა არ მართავენ ქმედითი საუბრებს, არ აცნობენ კოლმეურნეებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს, ნაკლებად უკავშირებენ საუბრებს პრაქტიკულ საქმიანობას.

ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც კორტხელის ცხაკაიას სახელობის, ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებსა და ახალსოფლის კოლმეურნეობა „კოლხიდაშია“. აღნიშნულ კოლმეურნეობებში აგროღონისძიებების ზუსტად გატარებას ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევენ, ხოლო უბად შემოსულ ჩაის ფოთოლს სისტემატურად არ კრეფენ. მაგალითად, რაიონში მარტო ერთ დღეს — 6 ივნისს მოიკრიფა 165 ტონა ჩაის ფოთოლი. როგორც ჩანს, შესაძლებლობა დიდია. მაგრამ მას სათანადოდ არ იყენებენ.

სამწუხაროა ისიც, რომ უმეტეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის მკრეფავები უზრუნველყოფილი არ არიან საწვიმრებით, რეზინის ჩექმებით. ეს ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების გადიდებას. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ ამას ყურადღება უნდა მიაქციონ.

პარტიის ზუგდიდის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელონ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპის გაძლიერებლად.

გ. ნოდია,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ნაწვერალზე სიმინდის თესვა დაიწყო

ყვარელი. (საკ. კორ.). ახალსოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა დაიწყო ნაწვერალზე სიმინდის თესვა.

ყვარლის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც გ. ყუდროშვილი ხელმძღვანელობს, ხვნის დღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. ტრაქტორისტმა ა. ზარდიაშვილმა კვადრატულ-ბუდობრივი წესით ნაწვერალზე უკვე დათესა 15 ჰექტარი სიმინდი.

ბუნებრივი თივის აღება

რესპუბლიკაში მასობრივად ჩაღდება ბუნებრივი თივის აღება. 10 ივნისისათვის გათიბული იყო 6.975 ჰექტარი.

თეთრი წყაროს რაიონში ბუნებრივი თივა აღებულია 512 ჰექტარზე, გურჯაანის რაიონში — 194, კაჭრეთის — 314, სიღნაღის — 1.054, წითელწყაროს — 2.204, ახმეტის — 1.085, ყვარლის — 15, ლაგოდეხის — 51, გორეულნის — 259, გარდაბნის — 119, მარნეულის — 607, ბოლნისის — 305, საგარეჯოს რაიონში — 136, ფოთში — 88, აფხაზეთის ასსრ-ში — 16, აჭარის ასსრ-ში — 7, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 7 ჰექტარი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ დარბაზობა გამართეს შვეიცარიის რიკსდაგის დელეგაციის პატივსაცემად

მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით სტუმრად არის შვეიცარიის რიკსდაგის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რიკსდაგის მეორე პალატის თავმჯდომარე გუსტავ ნილსონი. დელეგაციაში შედიან: რიკსდაგის პირველი პალატის პირველი ვიცე-თავმჯდომარე აქსელ სტრანდი, რიკსდაგის მეორე პალატის მეორე ვიცე-თავმჯდომარე ანდერს ულსონი, რიკსდაგის საგარეო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ანდერს პეტერსონი, რიკსდაგის პირველი საკანონმდებლო კომისიის თავმჯდომარე ოლოფ რიულანდერი, რიკსდაგის დეპუტატები — ნილს ჰერლიტცი, ალფრედ ნილსონი, ემილ ალკვისტი, რუდოლფ ბუმანი, ზიგფრიდ იუნსონი, ნილს ლარსონი, ვალტერ ედსტრემი, ჰანს გუსტაფსონი, ანი ვალენტენი, ტორსტენ ფრედრიკსონი, იესტა ელვინგი.

დელეგაციას თან ახლავან შვეიცარიის რიკსდაგის მეორე პალატის მდივანი გუნარ ბრიტი, შვეიცარიის დეპემათა ბიუროს წარმომადგენელი ოკე მალმსტრემი და შვეიცარიაში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი ნ. მ. ლუნკოვი.

13 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. ბ. ვოლკოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაცისმა დარბაზობა გამართეს შვეიცარიის რიკსდაგის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერეგუდინი, მ. ზ. სპიტროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები ტ. კულატოვი და მ. ბ. ტარასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა. მ. პანკრატოვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს ფუძემდებელი კომისიათა თავმჯდომარეები მ. ა. გედეონოვი, ა. მ. საფარონოვი, დ. ტ. შეპილოვი და მ. ა. ივანოვი, სსრ კავშირის მინისტრები პ. ი. ანტროპოვი, ვ. გ. ბაკაევი, კ. პ. გორშენინი, ნ. ა. ბიგაი, ვ. ვ. ელიუტინი, ვ. გ. ფედორჩენკოი, ა. ა. ოშკოი, ი. გ. კაბანოვი, ნ. ს. კაზაკოვი, ი. ა. ლიხაჩოვი, ფ. გ. ლოგინოვი, ნ. ა. მიხაილოვი, ზ. ა. შამკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საელჩოწევრი საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. ნ. ნესმეიანოვი, საკადესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსი ს. თ. ეკაორონკოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. კ. ლებედევი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ი. გ. ბოლშაკოვი, ს. ვ. კაფტანოვი, ვ. ს. კემენოვი, ფ. ვ. კალაბუხოვი, პ. ნ. კუზნეცკინი, ვ. ს. სემენოვი, ვ. ნ. სტოლეტოვი, სსრ კავშირის საელჩოწევრი ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ს. გერაშჩენკო, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ს. ჟელტოვი, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაიროვი, რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ტ. ბ. ზუევა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ი. პ. გურიევი, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორი აკადემიკოსი ნ. ვ. ციცინი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ა. ა. სურკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რუსეთის სფსრ და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, მოსკოვის საბჭოს და მოსკოვის საოლქო საბჭოს, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა და შვეიცარიელი ჟურნალისტები.

სტუმრათა შორის იყვნენ შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში როლფ რ. სულმანი და შვეიცარიის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა.

დარბაზობის დროს ვ. ტ. ლაცისმა და გ. ნილსონმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ვ. ტ. ლაცისის სიტყვა

ბატონო თავმჯდომარეო!

ბატონო შვეიცარიის რიკსდაგის დეპუტატებო!

თქვენი ჩამოსვლა ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს ქვეყანაში თქვენი ჩამოსვლა ხელს შეუწყობს შვეიცარიასა და საბჭოთა კავშირს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებას, ხელს შეუწყობს შვედ და საბჭოთა ხალხს შორის მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის განვითარებასა და გაღრმავებას.

ისეთი ლუდიდესი ქვეყნის ხალხთა ცხოვრების ყოველმხრივ გაცნობისათვის, როგორიც არის საბჭოთა კავშირი, რასაკვირველია, ორი კვირა მეტად მოკლე ვადაა და საკმარისი არ არის. ჩვენ ვცდილობდით გაგვეთვალისწინებინა მთელი თქვენი სურვილები და ჩვენი მხრივ ყველა ღონისძიება ვიხმარეთ, რათა საბჭოთა კავშირში მოკლე ხანს ყოფნისას შესაძლებლობა გქონოდათ გასცნობოდით ჩვენი ცხოვრების სულ სხვადასხვა მხარეს, საბჭოთა ადამიანების საქმიანობის სულ სხვადასხვა დარგს. თქვენ ნახეთ ჩვენი მიღწევები. თქვენ ნახეთ აგრეთვე ჩვენი სიძნელეები და ნაკლოვანებანი. თქვენ შესაძლებლობა გქონდათ დარწმუნებულიყავით, რომ ჩვენს საბჭოთა ხალხს, რომელიც მშვიდობიან, შემოქმედებითს შრომას ეწევა, სურს იცხოვროს მშვიდობიანად და თანხმობით მსოფლიოს ყველა ხალხთან, მათ შორის შვედ ხალხთანაც, რომელიც ჩვენი მეზობელია. საბჭოთა ხალხს არ სურდება არც სხვისი მიწა, არც სხვისი სიმდიდრე. საბჭოთა ხალხი არ ეშურვაფვის მსოფლიო ბატონობის და არავის არ ეშურვაფვის, მაგრამ ვერც მას შეაშინებს ვინმე.

მე ვფიქრობ, რომ თქვენ, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, სრული შესაძლებლობა გქონდათ დარწმუნებულიყავით ამაში. სწორედ ეს არის ყველაზე დიდი ღირებულება ჩვენი შეხვედრისა, ჩვენი უშუალო კონტაქტისა და ურთიერთ გაცნობისა. და როცა თქვენ დაბრუნდებით სამშობლოში, უამბობთ ამას თქვენს ხალხს, ეს იქნება ფასდაუდებელი წვლილი ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემისა და ნდობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

გთხოვთ გადასცეთ შვედ ხალხს ჩვენი გულითადი სალამი, ეუსურვებთ მას ეკონომიურ და კულტურულ აყვავებას.

ეუსურვებთ წარმატებითს და ნაყოფიერ მუშაობას თქვენი ქვეყნის პარლამენტს — შვეიცარიის რიკსდაგს.

თავისი სიტყვის დასასრულს ვ. ტ. ლაცისმა გამარჯვება უსურვა შვეიცარიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას.

გუსტავ ნილსონის სიტყვა

ბატონებო, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეებო!

შვეიცარიის დელეგაცია, რომელსაც მიეცა შესაძლებლობა დათვალიერებინა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონი, დღეს ხვდება თავის მასპინძლებს — ბატონ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეებს.

ჩვენი მოგზაურობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო. გაზაფხულის მშვენიერ დღეებში ჩვენ დავათვალიერეთ საბჭოთა კავშირის დედაქალაქი, მისი მდიდარი ისტორიული ძეგლები და კულტურის საგანძურები. დავნაწილდით რა ჯგუფებად, ჩვენ მოვიარეთ უდიდესი სივრცეები. იმ საკმაოდ ხანგრძლივმა მოგზაურობამ თვითმფრინავით, რაც ჩვენს სამ ჯგუფს მოუხდა, რეალური წარმოდგენა მოგვცა საბჭოთა კავშირის კოლოსალურ სივრცეებზე.

ყველგან ვნახეთ ინტენსიური მშენებლობა და შემოქმედებითი შრომა. ყველამ ერთად ვინახულეთ სტალინგრადი, ქალაქი, რომელიც ცნობილია ისტორიაში თავისი თავდაცვითი ბრძოლით. ჩვენ ვნახეთ, როგორ კვლავ აღსდგა ნანგრევებიდან ეს ქალაქი და ახლა იფურჩქნება უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. ჩვენ ვნახეთ, როგორ სულ უფრო ვითარდება ისეთი ძველი და მოსახლეობის უდიდესი ჯგუფების მომარაგებისათვის დიდნიშვნელოვანი რაიონი, როგორიც არის უკრაინა, რარიგ დიდია ინდუსტრიული განვითარება დონბასის რაიონში. ჩვენ დავათვალიერეთ საქართველოს მრეწველობა და ამწვანებული ველები, ჩვენ ვნახეთ აგრეთვე როგორ იცვლევს გზას ახალი დრო შორეულ და რომანტიკულ ქალაქებში — ტაშკენტსა და სამარყანდში.

ჩვენ გავეცანით უახლოესი მომავლის გეგმებს, რომლებიც მოწმობენ გაბედულ თოსონობას და შეუდრეკელ შემოქმედებითს ნებას. ჩვენ ყურადღება დავუთმეთ სოფლის მეურნეობის საწარმოო პრობლემებს, წარმატებებს გზების განვითარების დარგში, რომლებიც მიღწეულია უწონარეს ყოველისა უდიდესი არხების შექმნის მეოხებით.

რასაკვირველია, ჩვენ ვნახეთ აგრეთვე ისეთი რამ, რაც იწვევს გაკიტიკებას სურვილს. ის, რაც ვნახეთ სოციალური უზრუნველყოფის დარგში, იწვევს ჩვენს მოწონებას, თუმცა თვითონ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო წინ წავიდა ბევრი მხრივ. განსაკუთრებით სასიხარულოა ის ზრუნვა, რასაც თქვენ იჩენთ ბავშვებისა და ახალგაზრდობის მიმართ. ჩვენ დავათვალიერეთ საბავშვო ბაგეები, სკოლები და უნივერსიტეტები. სადაც აშკარად უდიდესი ენთუზიაზმით მიმდინარეობს მუშაობა.

საბჭოთა კავშირიდან ჩვენ მიგვყავება მისი წინსვლისადმი მისწრაფებისა და მისი ხალხის შრომისმოყვარეობის შთაბეჭდილება. ჩვენ მიკლიეთ შთაბეჭდილება, რომ ვიყავით სტუმრად ქვეყანაში, სადაც მთელი ძალით ვითარდება მშვიდობიანი, შემოქმედებითი საქმიანობა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით.

ყველგან ვხედავდით იმის დადასტურებას, რომ ხალხი ესწრაფვის უშიშროებას, გარანტიას ახალი დამანგრეველი ომის წინააღმდეგ, ძტკიცე მშვიდობას. ქვეყანას, რომლის წარმომადგენელიც ჩვენ ვართ, 140 წელიწადზე მეტია არ უომნია. თუმცა ჩვენც გვიხდება ჩვენი მასშტაბით დიდი თანხების ხარჯვა თავდაცვისათვის, მაგრამ მაინც ხანგრძლივმა მშვიდობამ საშუალება მოგვცა საკუთარი გამოგვეყენებინა ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრენი და ჩვენი ხალხის შრომითი რესურსები, რათა, მოგვეცა ჩვენი ქვეყნისათვის ცხოვრების ის მაღალი დონე, რომელიც ახლა იქ არის.

ჩვენ ვიცით მშვიდობის ფასი!

სწორედ ამიტომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი ხაზი, რომელიც ნიშნავს მშვიდობასა და ყველა ერთან ურთიერთგაგებას, მთელი ხალხის მხარდაჭერით სარგებლობს. ჩვენთვის ჩვენი გამოცდილებით, რომელიც მოწმობს მშვიდობის სიკეთეს, და ჩვენი რწმენით, რომ შესაძლებელია საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრა, სავსებით ბუნებრივია მხარს ვუჭერდეთ ყველა მისწრაფებას ხალხთა ურთიერთგაგებისადმი. სწორედ ამას ემყარება შვეიცის ნეიტრალიტეტის ტრადიციული პოლიტიკა.

ჩვენ ვიცით, რომ კონფლიქტების უმრავლესობა საბოლოო ანგარიშით წარმოიშობა იმის შედეგად, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მომარაგების სულ სხვადასხვა შესაძლებლობაა. ამიტომ სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა, რომ მიაღწიონ თვითმომარაგების უფრო მაღალ დონეს, არის პრაქტიკული სამშვიდობო პოლიტიკა, რომელსაც შვეიცია სავსებით უჭერს მხარს.

შვეიცის დელეგაცია მადლობას გიძღვნით მოწვევისათვის, ყველა ღონისძიებისათვის, რომელიც განახორციელეთ, რათა ჩვენი მოგზაურობა ყოფილიყო შინაარსიანი და ნაყოფიერი, და განსაკუთრებით ბრწყინვალე სტუმართმოყვარეობისათვის. ჩვენ დავამყარეთ კონტაქტი ბევრ ადამიანთან და იმედი გვაქვს, რომ ეს კონტაქტი გაგრძელდება. ჩვენ გვწამს მომავალი ურთიერთგაგება და ნდობით აღსავსე თანამშრომლობა ხალხებს შორის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია შეიქმნას ისეთი მსოფლიო. საბჭოთა კავშირის დიდ ხალხს შეუძლია უდიდესი წვლილი შეიტანოს კაცობრობის ასეთი სასურველი მომავლის უზრუნველყოფის საქმეში.

* * *

შვეიცის რიკსდაგის დელეგაციის სახელით გუსტავ ნილსონმა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს უძღვნა სამახსოვრო საჩუქარი — ვერცხლის ყუთი. დელეგაციის წევრებს გადაეცათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ძვირფასი საჩუქრები.

დარბაზობამ გულითად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკ. ინფ.).

უოლტ უიტმენი

(წიგნის „ბალახის ფოთლების“ პირველი გამოცემის 100 წლისთავი)

„უიტმენი კლასიკოსია... მაგრამ საოცარი ის არის, რომ ამერიკა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ცდილობენ ეს ვერ შეამჩნიონ, თითქოს შესაძლებელი იყოს მზე ვერ დაინახოს კაცმა ცაზე!“... — წერდა გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ბერნარდ შოუ.

ამ წიგნის გამოსვლისთანავე, რომლის დაბეჭდვის ასი წლისთავს მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმობს, ავტორს წილად ხვდა დამცირებელი დაცინვა და ულმობელი გაკიცხვა. მას დასცინოდნენ ამერიკის ის მოდური მწერლები, რომლებსაც უიტმენმა საჩუქრად გაუგზავნა თავისი პირველი წიგნი. ეს ვიქტორები უკანვე უბრუნებდნენ ავტორს წიგნებს და თან გესლიან წერილებს უგზავნიდნენ. ერთმა აღშფოთებულმა „პოეტმა“ ცეცხლშიც კი ჩადაისროლა ეს წიგნი. გაზეთები გაიცინა ლანდონის წერილებით. „ეს ჩომ წიგნი არ არის... ეს ულელური ბოდვაა“, „ავტორს ისევე გაეგება ბოეზია, როგორც ღორს მათემატიკა“...—ყურისწამღებად გაჰყვიროდნენ რეცენზენტები. ერთმა მოდურმა კრიტიკოსმა ლექსით გამოხატა თავისი აზრი ამ წიგნის შესახებ: „კარგი სახელი მოუგონა უიტმენმა თავის წიგნს — „ბალახის ფოთლები!“ მართლაც შესანიშნავი საკვებია ბინძური ნახირისა და ღორებისათვის!“.

მაგრამ თანდათანობით გამოჩნდნენ ამერიკაში ადამიანები, რომლებმაც რეაქციული ბრბისა და მოდური მწერლების მიერ ხელოვნურად გალაწმღული წიგნი ძოწიწებით აიღეს ხელში და შეიყვარეს. ხოლო ამერიკის გარეთ მთელმა მსოფლიომ მაშინვე ერთხმად აღიარა უიტმენი, როგორც თანამედროვეობის უდიდესი პოეტი და მოაზროვნე.

ეს იყო ასი წლის წინათ, ამერიკელი მწერლის უოლტ უიტმენის წიგნის „ბალახის ფოთლების“ გამოსვლის დღეებში. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამჟამად მთელი მსოფლიოს ხალხები მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით ზეიმობენ უ. უიტმენის წიგნის „ბალახის ფოთლების“ გამოსვლის მეასე წლისთავს. ამერიკელ რეაქციონერთა ერთი ნაწილი კი კვლავ ძველებური ყოყოჩობით გმობს ღიდებულ მწერალს, ხოლო მეორე ნაწილს შეუგნია, რომ თავის მოტყუება იქნება „კაცს მზე დაუმალო ცაზე“, და ახლა ცდილობს დაამახინჯოს მისი იდეები, თავის კაცად, თავისი იდეოლოგიის გამომხატველად დასახოს უიტმენი.

უოლტ უიტმენმა მკითხველთა ფართო მასების სიყვარული იმით დაიმკიცდრა, რომ მისი შემოქმედება უაღრესად ხალხური, ხალხის იდეოლოგიის მატარებელი და ჭმინდა ეროვნული მოვლენა იყო. უიტმენმა თავის წიგნში მშრომელი ხალხის დაუცხრომელ ენთუზიაზმს, თავისუფლებისაკენ შეუნელებელ სწრაფვასა და მსოფლიოს ხალხთა მარადიული ძმობის იდეას უმღერა.

„თავისუფლებავ, შენ მოგმართავ; დაე ნუ ეშინოდეთ სხვებს რწმენა შენი, მე შენი მჯერა სამარადჟამოდ“, — წერდა პოეტი.

„ბალახის ფოთლების“ პირველივე გამოცემაში უიტმენი გაბედულად გამოვიდა მონათმფლობელთა მიერ არაადამიანურად ექსპლოატირებული ზანგების დასაცავად. იგი თავიდანვე თანაუგრძნობდა მონობის წინააღმდეგ ამხედრებულ ზანგებს, ხოლო სამოქალაქო ომის დროს აქტიურ დახმარებას უწევდა მონათმფლობელთა წინააღმდეგ მებრძოლებს.

უიტმენი მგზნებარედ უმღეროდა რევოლუციას, რომლის ცეცხლმა პოეტის სიცოცხლეშივე მთელი ევროპა გაანათა. იგი მიმართავს „ევროპელ რევოლუციონერს, რომელმაც დამარცხება განიცადა“: „მაინც ნუ დაეცემი სულით, ჩემო ძმაო თუ დაო! კვლავ შენი გზით იარე — რაც უნდა შეგემთხვეს, თავისუფლ

შვეიცარიის რიკსდაგის წევრები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს

13 ივნისს კრემლში მოეწყო შვეიცარიის რიკსდაგის დელეგაციის წევრთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებთან დეპუტატებთან ფ. ა. გედვილასთან, ა. მ. საფრონოვთან, დ. ტ. შეპილოვთან და მ. ა. იასნოვთან.

ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დ. ტ. შეპილოვმა, ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ა. მ. საფრონოვმა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ მ. ა. გედვილასმა დელეგაციის წევრებს გააცნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიების საქმიანობა, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტისა და კანონების მომზადების, განხილვისა და მიღების წესი.

სტუმრებმა ინტერესით მოისმინეს კომისიათა თავმჯდომარეების ცნობები და მისაღებ ძთელი რიგი კითხვები, რომლებიც ეხებოდა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების, საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებისა და საგარეო საქმეთა კომისიების მუშაობის ორგანიზაციას.

შეხვედრას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ი. ი. დუდინი, ა. ს. ელტოვი, ს. ი. ეუკი, ტ. მ. ზუევა, ი. ა. კაპოვი, ი. კ. ლებედევი და ა. ე. პეტრუშევი.

დელეგაციის მეთაურმა გუსტავ ნილსონმა მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ დელეგატებს შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა კომისიების მუშაობას.

დ. ტ. შეპილოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სახელით, რომლებიც შეხვედრას ესწრებოდნენ, შვეიცარიის რიკსდაგის დელეგაციის წევრებს წარუდგა უსურვა მათს მუშაობაში შვედი ხალხის საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობისათვის.

შეხვედრას დაესწრნენ აგრეთვე შვედი კორესპონდენტები, რომლებიც დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირში, და საბჭოთა პრესის წარმომადგენლები. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა შვეიცარიის რიკსდაგის დელეგაცია

13 ივნისს მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრა შვეიცარიის რიკსდაგის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რიკსდაგის მეორე პალატის თავმჯდომარე გუსტავ ნილსონი.

შვეიცარიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ლენინგრადის ვაგზალში დელეგაცია გააცილეს: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ბოჯკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაცისმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილემ ა. თ. გორკინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა პ. ა. კოკორევმა, დ. გ. ონიკამ, მ. ა. იასნოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსმა ნ. კ. კოზლოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგემ ს. გ. ლაპინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილემ ა. ნ. კაპუსტინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგის მოადგილემ მ. გ. გრიბანოვმა.

დელეგაცია გააცილეს აგრეთვე შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში როლფ რ. სულზანმა და საელჩოს თანამშრომლებმა. (საკდესი).

ინდოეთის პრესა ნერუს მოგზაურობაზე საბჭოთა კავშირში

დელი, 13 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს ვიზიტს საბჭოთა კავშირში კვლავ თვალსაჩინო ადგილი უკავია ინდოეთის გაზეთებში, რომლებიც დაწვრილებით ანგარიშს ბეჭდავენ საბჭოთა კავშირში ნერუს ყოფნის შესახებ.

გაზეთი „ჯუგანტარი“ ხაზგასმით აღნიშნავს განსაკუთრებით გულთბილ მიღებას, რაც საბჭოთა კავშირში ნერუს მოუწყეს, და წერს: „რუსები ცდილობენ პრაქტიკულად განახორციელონ ის იდეა, რომ ერების შორის თანამშრომლობა და თანაარსებობა შესაძლებელია, მიუხედავად იდეოლოგიათა, თვალსაზრისთა და მოქმედების მეთოდთა განსხვავებისა“.

გაზეთი „სვადჰინატა“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოველი პატრიოტი ინდოელი დიდ სიხარულს განიცდის იმის გამო, რომ ნერუს ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცების საქმეს.

გაზეთი „ლოკვანი“, რომელიც ჯაიპურში გამოდის, აღნიშნავს, რომ ნერუს ვიზიტი საბჭოთა კავშირში დიდი წვლილი იქნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

გაზეთ „ფრი პრეს ჯორნელის“ მოწონავე სტატია უპასუხებს ცილისმწამებლურ კომენტარებზე საბჭოთა კავშირში ნერუს გამგზავრების შესახებ, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“. „ნერუს, — ირონიით ამბობს გაზეთი ამერიკელთა მონაგონის გამო, — არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, თუ დანაშაული არ არის ის, რომ რუსეთს გაემგზავრა მიწვევით. არც რუსებს ჩაუდენიათ რაიმე დანაშაული, თუ დანაშაული არ არის ის, რომ გულითადად მიიღეს ვიზიტით ჩასული პირი“.

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ინდონეზიასა და უნგრეთს შორის

ჯაკარტა, 13 ივნისი. (საკდესი). როგორც ანტარას საგენტო იუწყება, უკანასკნელ დროს გამართული მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება ინდონეზიის რესპუბლიკასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ედუარდ ერიოს გადაეცა მშვიდობის საერთაშორისო პრემია

ლიონი, 14 ივნისი. (საკდესი). გუშინ ლიონის მუნიციპალური საბჭოს დარბაზში საზეიმო ვითარებაში მოხდა გადაცემა მშვიდობის საერთაშორისო პრემიისა, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მიანიჭა საფრანგეთის ერთ-ერთ უხუცეს სახელმწიფო მოღვაწეს, ეროვნული კრების სპიკერ თავმჯდომარეს და ლიონის მერს ედუარდ ერიოს.

პრემიის გადასაცემად ლიონში ჩამოვიდნენ მშვიდობის საერთაშორისო პრემიების მიმნიჭებელი ჟიურის წევრები — მწერლები ვერკორი (საფრანგეთი), ვანდა ვასილევსკაია (სსრ კავშირი) და ანა ზეგერსი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), აგრეთვე საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, ჟ-ნი ფარეი, პიერ კოტი და ლორან ჟაზანოვი.

მუნიციპალიტეტის შენობაში შეიკრიბნენ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, მშვიდობის მომხრეები და ლიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მწერალი ვერკორი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის სახელით მოკლე შესავალი სიტყვით მიესალმა ედუარდ ერიოს. მან აღნიშნა, რომ მშვიდობის საერთაშორისო პრემიების მიმნიჭებელმა ჟიურიმ ერთსულოვნად და ენთუზიაზმით გადაწყვიტა მიანიჭოს პრემია ედუარდ ერიოს — საფრანგეთის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც, როგორც ვერკორმა თქვა, „მთელ თავის სიცოცხლეში იბრძოდა იმისათვის, რომ სინათლემ გაიმარჯვოს სიბნელეზე, რომ მშვიდობა და თანამშრომლობა დამყარდეს ხალხთა შორის“.

მწერალმა ვანდა ვასილევსკაიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი მსოფლიოს ხალხები სიყვარულისა და მადლობის გრძნობით არიან გამსჭვალულნი ედუარდ ერიოსადმი. მე, თქვა მან, ყოველ სიკეთეს გისურვებთ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტისა და ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით, რომლებსაც ახსოვხართ და უყვარხართ თქვენ, და რომელნიც არასოდეს არ დაივიწყებენ იმას, რომ ჯერ კიდევ 30 წლის წინათ თქვენ იბრძოდით საფრანგეთისა და სსრ კავშირის ხალხების დაახლოებისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ვუსურვებ ენერგიას თქვენს ნათელ გონებას საფრანგეთის კეთილდღეობისა და ხალხთა შორის მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ანა ზეგერსმა გაიხსენა ერიოს ბრძოლა გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ და გერმანული მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, ბრძოლა დემოკრატიული ძალების გამარჯვებისათვის გერმანიაში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერიოს მოღვაწეობა მშვენიერი მაგალითია გერმანელი ახალგაზრდობისათვის.

ერიონული კრების დეპუტატმა პიერ კოტმა თქვა, რომ მშვიდობის ყველა მომხრე აღტაცებულია ერიოს მოღვაწეობით უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მან აღიმაღლა ხმა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაახლოებისათვის. ჩვენ, ფრანგები, გამაგრძელ კოტმა, მადლობელი ვართ თქვენი ყოველი დამსახურებისათვის ჩვენი ქვეყნის წინაშე და ვაცხადებთ, რომ თქვენთვის მშვიდობის საერთაშორისო პრემიის მონიჭება არის პატივი, რომელიც მთელ საფრანგეთს დასდეს.

პიერ კოტმა მოგონა დამსწრეთ ერიოს მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები, ამასთან აღნიშნა, რომ სწორედ მისი დამსახურებაა, რომ საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის აღდგენილ იქნა ნორმალური ურთიერთობა. დასასრულ მან თქვა, რომ ერიოს ცხოვრება და მოღვაწეობა მშვენიერი მაგალითია ყველა ფრანგი მშვიდობის მომხრისათვის.

ე. ერიომ მოკლე სიტყვა წარმოთქვა და მადლობა გადაუხადა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს იმ დიდი პატივისათვის, რომელიც მას მშვიდობის საერთაშორისო პრემიის მინიჭებით დასდეს.

შემდეგ ერიომ თქვა: მე ვცდილობდი, რომ საფრანგეთის რესპუბლიკას ნორმალური ურთიერთობა აღედგინა ქვეყანასთან, რომელიც საკუთარი თვალით ვნახე. მე ვნახე ამ ქვეყნის ხალხი და ფიცი დავდე — ყოველი ღონე მეხმარა, რათა ხელი შემეწყო იმისათვის, რომ ჩემი ქვეყანა დაახლოებოდა ამ ხალხს. არასოდეს არ მინანია ეს გადაწყვეტილება, რომელიც 1924 წელს მივიღე. მე ვხედავდი მხოლოდ რუსი ხალხის კარგ დამოკიდებულებას საფრანგეთისადმი. რუსი ხალხი დიადი გულის მქონე ხალხია. მე ვიმეორებ: არასოდეს არ მინანია, რომ გამოვიჩინე ინიციატივა და მოვითხოვე ნორმალური ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირთან. მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ რუსი ხალხი მზად არის იბრძოლოს საფრანგეთისათვის. არასოდეს არ დამავიწყდება, რომ რუსმა ხალხმა თავისი სისხლი დაღვარა საფრანგეთის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის უკანასკნელი ომის დროს. მე ყოველთვის მიყვარდა და ახლაც მიყვარს ეს ხალხი.

დასასრულ ერიომ თქვა: მე ჯერ კიდევ არ დამიმთავრებია ჩემი ამოცანები ცხოვრებაში. მე ვიბრძოლებ ხალხთა დაახლოებისათვის. ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დავრჩები ისეთი, როგორსაც თქვენ მიცნობდით და მიცნობთ — დავრჩები ფრანგი და დემოკრატი.

ლიონის მუნიციპალურ საბჭოში დარბაზობა გაიმართა ედუარდ ერიოსთვის მშვიდობის საერთაშორისო პრემიის გადაცემის გამო.

განცხადება ინდოეთის პარლამენტის იმ დელეგაციის მეთაურისა, რომელიც იყო საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიაში

დელი, 13 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიაში ნამყოფი ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის მეთაური, შტატების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კრიშნა-მურტი რაო და დელეგაციის წევრი ჰუკამ სინგჰი 11 ივნისს დაბრუნდნენ ბომბეიში.

როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ იუწყება, რაომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირში ომი არავის არა სურს. „საბჭოთა კავშირს გულწრფელად სურს მშვიდობა. მაგრამ ხალხს შეგნებული აქვს თავისი ძალა და მძლავრი დარტყმით უპასუხებს, თუ მას თავს დაესხმიან“.

შემდეგ რაომ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ახორციელებს თავისი ქვეყნის მრეწველობის, ენერგეტიკული რესურსებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების გრანდიოზულ გეგმებს და ამუშავებს ყამრი მიწების დიდ სივრცეებს. რაომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთის დელეგაცია იუგოსლავიაში იყო იმ ისტორიულ მომენტში, როცა ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხელმძღვანელთა ერთობლივ კომუნიკეს, და აღნიშნა, თუ რა მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული იუგოსლავიის ხალხი ინდოეთისადმი. რაომ აგრეთვე აღნიშნა იუგოსლავიის ინდუსტრიალიზაციის წარმატებანი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დასავლეთ ბერლინის ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უარყო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის ორგანიზაციის წინადადება

ბერლინი, 13 ივნისი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტოს ცნობით, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დასავლეთ ბერლინის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ფ. ნიომამმა, რომელიც გუშინ ერთ-ერთ კრებაზე გამოვიდა, განაცხადა, რომ დასავლეთბერლინელი სოციალ-დემოკრატები უარყოფენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის ორგანიზაციის წინადადებას ერთობლივ ღონისძიებათა მიღების შესახებ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დასავლეთ ბერლინის ორგანიზაციის ხელმძღვანელობას გაუგზავნა წერილი, რომლითაც წინადადება მისცა ერთობლივად მოეწყოთ ორი მიტინგი — ბერლინის დემოკრატიულ სექტორში და დასავლეთ ბერლინში თემაზე „რას ნიშნავს საბჭოთა მთავრობის ნოტა გერმანიის ხალხისათვის, ბერლინის მოსახლეობისათვის“.

გაღაიდო ამერიკა-გერმანიის საავიაციო შეთანხმების ხელმოწერა

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა „ტექნიკური მიზეზებით“ მოულოდნელად გადადო ხელმოწერა ამერიკა-გერმანიის შეთანხმებისა, რომელიც დასავლეთ გერმანიის საავიაციო კომპანიის „ლუფტჰანზის“ თვითმფრინავებს უფლებას მისცემდა ეფრინათ სხვადასხვა ტრასით, რომლებიც დასავლეთ გერმანიას დაუკავშირებდნენ ამერიკის ქალაქებთან, აგრეთვე ნიუ-იორკს სამხრეთ ამერიკასა და კარიბის ზღვის რაიონთან. სახელმწიფო დეპარტამენტის ეს მოულოდნელი გადაწყვეტილება, აღნიშნავს კორესპონდენტი, გამოწვეულია ამერიკის საავიაციო კომპანიების ენერგიული პროტესტით, რომლებსაც ეშინიათ გერმანიის ავიაკომპანიის კონკურენციისა.

როგორც კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის საავიაციო კომპანიების წარმომადგენელმა გაანაცხადა, რომ ამერიკის ძირითადი ავიახაზების ადმინისტრაცია „გაცოფებულია“ დაპროექტებული შეთანხმებით, რომლის დაწვრილებითი ცნობები მხოლოდ ამას წინათ გამოირკვა. ამ წარმომადგენლის სიტყვით, ამერიკის საავიაციო ფირმები „შეშფოთებული არიან“ იმით, რომ დასავლეთ გერმანიის თვითმფრინავების მიერ საავიაციო ტრასების მომსახურება ამერიკის ავიახაზებს დასავლეთ ნახევარსფეროში „კოლოსალურ“ ტვირთზიდვის შესაძლებლობას წართმევს.

სენატის კომისიის თავმჯდომარემ, რომელიც მუშაობს ვაჭრობის საკითხებზე, მაგნასონმა ხელმოწერის გადადებას უწოდა „ძლიერ გონივრული“ ღონისძიება. „ჩვენთვის უმისოდაც ძნელია შევინარჩუნოთ ჩვენი საერთაშორისო ავიატრასები...“ — დასძინა მან.

პროვოკაციული ხმაური სამხრეთ კორეაში

ფხენიანი, 13 ივნისი. (საკდესი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს თავისი სპეციალური კორესპონდენტის ცნობას კესონიდან. ცნობაში ნათქვამია, რომ ამ ბოლო დროს დაზავების შეთანხმების სასტენდატურ დარღვევასთან ერთად ლისინმანელმა ხელისუფლებმა ატეხეს ხმაური, რომლის მიზანია კორეაში დაზავების ჩაფუშვა. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, 8 ივნისს სამხრეთ კორეის მთავრობის ელჩმა ვაშინგტონში იან იუ ჩანმა, რომელიც გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე, მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს გააუქმონ კორეაში დაზავების შეთანხმება, როგორც ძალადაკარგული და გაუდიდონ სამხედრო დახმარება სამხრეთ კორეას.

7 ივნისს სეულში ლისინმანელთა მთავრობის ინფორმაციის ბიუროს უფროსმა კარლ ხონ კიმ განაცხადა, რომ კორეაში დაზავების შეთანხმება „დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად“. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ეს აგრესიული ხმაური დროის მიხედვით დაემთხვა ლისინმანელთა ეკონომიური მრჩევლის პეკ დუ ჯინისა და სამხედრო მინისტრის სონ ვონ ირის ყოფნას ვაშინგტონში.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასი

მოსკოვი. 13 ივნისი. დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი შეხვედრა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და სტალინის „მაბტიორის“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა დინამოელთა მორიგი გამარჯვებით ანგარიშით 6:0.

ლენინგრადი. 13 ივნისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 2:2.

მოსკოვი. 14 ივნისი. სპორტის ათეულათასობით მოყვარული ესწრებოდა სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონისა და თასის მფლობელის დედაქალაქის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივების შეჯიბრებას. მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით 5:0.

„ბ“ კლასის გუნდების შეჯიბრება

სვერდლოვსკი. 13 ივნისი. აქ გაიმართა „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი ასპარეზობა. თამაშობდნენ თბილისის ოფიცერთა სახლისა და სვერდლოვსკის „ავანგარდის“ გუნდები. თბილისელებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს, მოიგეს მატჩი ანგარიშით 2:0.

ევროპის IX ჩემპიონატი კალათბურთში

12 ივნისიდან ბუდაპეშტში მიმდინარეობს ვაჟთა გუნდების ფინალური შეჯიბრება კალათბურთში ევროპის პირველობაზე. პირველი ტურის შედეგები ასეთია: სსრ კავშირი — იტალია 54:48, რუმინეთი — პოლონეთი 69:56, ბულგარეთი — იუგოსლავია 84:66, ჩეხოსლოვაკია — უნგრეთი 75:65.

ევროპის პირველობის გათამაშება კალათბურთში 19 ივნისამდე გაგრძელდება.

ქართულ სცენაზე „პეპოს“ დადგმის 80 წლისთავის აღსანიშნავად

საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოება და რუსთაველის სახელობის თეატრი ა. წ. 16 ივნისს რუსთაველის სახელობის თეატრში მართავენ გ. სუნდუკიანის პიესა „პეპოს“ ქართულ სცენაზე პირველი დადგმის 80 წლისთავის აღსანიშნავ საღამოს.

მოხსენებას თემაზე „გაბრიელ სუნდუკიანცი და ქართული თეატრი“ გააკეთებს პოეტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. გრიშაშვილი.

საზეიმო ნაწილის შემდეგ წარმოდგენილ იქნება გ. სუნდუკიანცის „პეპო“. მთავარ როლებს შეასრულებენ ა. ხორავა (პეპო), ა. ვასაძე (ზიმზიმოვი), ნ. დავითაშვილი (შუშან), მ. ჩახავა (ეფემია), დადგმა ეკუთვნის დ. ალექსიძეს, მხატვრობა — ფ. ლაპიაშვილს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

16 ივნისს საღამოს 8 საათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) შედგება საქართველოს ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საზოგადოების და საქართველოს ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზოგადოების ერთობლივი სხდომა.

დღის წესრიგშია მოხსენებები, მიძღვნილი ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა VIII საკავშირო ყრილობის შედეგებისადმი.

თბილისის ათასობით მშრომელი ისვენებ სტალინის სახელობის კულტურისა და დ ვენების პარკში. აქ ყველა პირობაა შექმნილ დამსვენებელთა კულტურული მომსახურ ბისათვის, მუშაობს საზაფხულო კინოთეატ რი, ბიბლიოთეკა, საბავშვო ოთახი, ბავშვ გასართობი მოედნები და სხვ. სურათზე (ზევით) დამსვენებლები სტალინის სახელ ბის კულტურისა და დასვენების პარკ ცენტრალურ ხეივანში, (ქვევით) ტრამვა საბაგირო გზა, რომლითაც დამსვენებლ ადიან პარკში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ხაშურის რკინიგზელთა დრამატული კოლექტივის გასტროლები

საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით პირველი ქართული წარმოდგენა ხაშურში 1876 წლის 29 აგვისტოს გაიმართა. მას შემდეგ აქ ხშირად მართავდნენ წარმოდგენებს სხვადასხვა დრამატული კოლექტივები. მაგალითად, ხაშურის რკინიგზის მუშა ახალგაზრდობის და მასწავლებელთა ინიციატივით 1903 წელს ჩამოყალიბებული დრამატული წრე წარმოდგენებს მართავდა როგორც ხაშურში, ისე მის ახლო მდებარე დაბა-სოფლებში, დრამატული წრეების სპექტაკლებში ხშირად მონაწილეობდნენ საგასტროლოდ ჩამოსული ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, შ. დადიანი, ი. ზარდალიშვილი და სხვ.

ამჟამად აქ წარმატებით მუშაობს ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის კულტურის სასახლესთან არსებული თეატრალური კოლექტივი, რომელმაც უკანასკნელი წლების მანძილზე განახორციელა მთელი რიგი სერიოზული დადგმები — ი. მოსაშვილის პიესა „სადგურის უფროსი“, ო. ვასილიევის „აქვეყნიური სამოთხე“, ა. წერეთლის „პატარა კახი“, ა. ზაიკ „რობინ ჰუდი“ და სხვ. უკანასკნელად თეატ ლურმა კოლექტივმა მოამზადა ი. მოსაშვილ ისტორიული დრამა „გზა მომავლისა“, რომ ლიც ამ დღეებში კოლექტივმა აჩვენა თბილ სელ მაყურებლებს. სპექტაკლები გაიმარ თბილისის რკინიგზელთა სახლში.

ხაშურის რკინიგზელთა მხატვრული კოლ ტივის სპექტაკლმა დიდი ინტერესი გამოიწვ განსაკუთრებული ყურადღება და მადალი შ ფასება დიმსახურა სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორის შ. ჩერქეზიშვილის გულმოდგ მუშაობამ. კარგია სპექტაკლის მხატვრული გ ფორმება, რომელიც გ. აბაშიძეს ეკუთვნის. ს სიკის ავტორია ნ. ბარამიძე.

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის კულტ რის სასახლის თეატრალური კოლექტივის ინ ციატივა — თბილისში საგასტროლოდ ჩამ ლა, მისასალმებელია.

გ. ძნელაძე.

სასამართლოს დარბაზიდან

მკვლელობისათვის — დახვრეტა

ვრეე არისტარხოს-ძე მოსიკიანი პატიოსან, საზოგადოებრივ შრომას გაურბოდა და გახრწნილ, გადაგვარებულ ცხოვრებას ეწეოდა. ქალაქ სოხუმის პარკში ვ. ა. მოსიკიანმა მოკლა მოქალაქეები გ. ნ. იაშვილი და ზ. გ. ჩერქეზია.

ბოროტმოქმედ ვ. ა. მოსიკიანს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა და ქონების კონფისკაცია მიუსაჯა.

...სერგო მიხეილის-ძე კოკოევმა ქალაქ სტალინირში წინასწარ განზრახვით ნაჯახით მოკლა თავისი მეუღლე ფ. გოგიჩაევა და ნ. თეკავა ა. გოგიჩაევი.

სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლო სისხლის სამართლის კოლეგიამ ბოროტმოქმედ ს. მ. კოკოევს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა და ქონების კონფისკაცია მიუსაჯა.

გაუსწორებელი ბოროტმოქმედების ვ. ა. მ სიკიანის და ს. მ. კოკოევის მიმართ განაჩ სისრულეშია მოყვანილი.

ძ. სხვაველი.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

1955 წ. 25 ივნისს დღის 1 საათზე № 93 აუდიტორიაში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

სამსონ ერასტის-ძე როდონაია

დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„დონის კაზაკობის ბრძოლა თურქ-თათართა აგრესიის წინააღმდეგ XVII საუკუნის პირველ ნახევარში და მისი ურთიერთობა ქართველებთან“.**

1955 წ. 25 ივნისს, დღის 3 საათზე, № 93 აუდიტორიაში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ანა კონსტანტინეს ასული ბაძრაძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ქართული ეპიგრაფიკა, როგორც ისტორიული წყარო“ (V-XIII ს. ს.).**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ჰიდროტექნიკური ნაგებობათა კათედრის გამგის (პროფესორი ან დოცენტი) თანამდებობის დასაკავებლად (სრულ განაკვეთზე).

მსურველებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები ორ-ორ ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული ასლი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების საბუთების შემოწმებული ასლები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომთა სია და ორი ფოტოსურათი (6×9).

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 33, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

ᲓᲦᲔᲡ
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—გედების ტბა, **რუსთაველის სახელობის** — ესპანელი მღვდელი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი, **გრიბოედოვის სახელობის** — ალამნის ბაღში, **სომხური დრამის** — სასიძოები, **მუსიკალური კომედიის** — თბილისის ცის ქვეშ, **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—გეკორი (აბონემენტი № 12, 7 ს.).

ᲙᲘᲝᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ამირანი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — რიო ესკანდიდო, ოქტომბერი, **კიროვის სახელობის პარკი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — თეთრთოვლა, **სპარტაკი, თბილისი, კოლხიდა** — ავარა (I და II სერია), **კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — მწყემსის შვილი, **კოლხიდა** (საზაფხულო)—სილვა, **ისანი** (საზაფხულო)—პავლინკა, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო)—შეხვედრა ელბაზე, **დიდუბე**—დედა, მაშა, მოსამსახურე და მე, **კოლმეურნე** — ქარიშხალი, **ოფიცერთა სახლი** — მაკლოვია.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ჰიდროტექნიკური ნაგებობათა კათედრის გამგის (პროფესორი ან დოცენტი) თანამდებობის დასაკავებლად (სრულ განაკვეთზე).

მსურველებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები ორ-ორ ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული ასლი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების საბუთების შემოწმებული ასლები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომთა სია და ორი ფოტოსურათი (6×9).

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 33, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

18 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობა

„ა“ ᲙᲚᲐᲡᲘ

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ მოსკოვი
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ თბილისი

(დუბლიორთა შემადგ